საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №12

ქ. ლანჩხუთი 20.12.2021.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე და სპარტაკ კვაჭაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **ელენე იმნაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ სარგოს, რომელიც 700 ლარის ნაცვლად უნდა განისაზღვროს 800 ლარით.

ელენე იმნაძემ აღნიშნა, რომ მომავალი წლის იანვრის თვიდან დაანონსებულ ხელფასების მატებაზე საბაზისო განაკვეთი განისაძღვრება 800 ლარით.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არის ძალიან დაბალი, მით უმეტეს არსებული პანდემიის პირობებში აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელს უწევს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობა.

ალექსანდრე მახათაძემ განმარტა, რომ მომავალი წლიდან იგეგმება ხელფასების ზრდა და შესაბამისად ა(ა)იპ-ებშიც მოხდება ხელფასების მოწესრიგება.

ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპებში ხელფასები ძალიან დაბალია და საჭიროებს ზრდას.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპებში ხელფასების ოდენობის განსაზღვრა არ არის საკრებულოს პრეროგატივა.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან სხდომას წარუდგინა საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამუშაო გეგმა შედგენილია რეგლამენტის შესაბამისად და მასში ასახულია ყველა ის პროცესი, რომელიც უნდა განახორციელოს საკრებულომ წლის განმავლობაში.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ფრაქციას „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ არ აქვს ოთახი, არც საჭირო ინვენტარი და არც კომპიუტერი. მან დააყენა წინადადება, რომ აღნიშნული იქნეს გათვალისწინებული, რათა ფრაქციას მიეცეს ნორმალურად მუშაობის საშუალება.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ თუ იქნება კეთილი ნება ფრაქციები „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა“ და „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ განთავსდება ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე აუდიტის სამსახურის 2 ოთახში და აღნიშნული სამსახური გადავა მეოთხე სართულზე საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიული სამსახურების მიმდებარედ.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 20.12.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №12

2021 წლის 20 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.12.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11:55	
2	ია მოქია	12:00	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	სპარტაკ კვაჭაძე	11:55	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
7	გიორგი გოგუაძე	11:50	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50	